შეთანხმება

2014 წლის 01 მარტის #14–084 არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

05 აგვისტო 2014 წ.

სს "ბიზნესცენტრი სოფმშენი" საიდენტიფიკაციო კოდი: 204854014, იურიდიული მისამართი: თბილისი, , ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-4 სართული (შემდგომში: "მეიჯარე"), წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ გვიანიშვილის სახით და

სს "სილქნეტი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95 (შემდგომში: "მოიჯარე"), წარმოდგენილი რწმუნებული პირის ზვიად კიკნაძის (პ/ნ 57001006564) სახით .

("მეიჯარე" და "მოიჯარე" შემდგომში ცალ-ცალკე მოხსენიებული იქნებიან, როგორც "მხარე", ხოლო ერთობლივად როგორც "მხარეები").

პრეამბულა:

"მხრეები" ადასტურებენ, რომ:

1. 2014 წლის 01 მარტს გააფორმეს #14–084 არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება (შემდგომში: "ხელშეკრულება"), რომლის თანახმადაც "მოიჯარემ" "მეიჯარის" კუთვნილ ფართზე ("ხელშეკრულების" 1.1 პუნქტში აღნიშნული ფართი, მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.03.032.001) განათავსა სატელეკომუნიკაციო აპარატურა;

2. "მოიჯარეს" სურს "ხელშეკრულების" ფარგლებში, დამატებით მოახდინოს სატელეკომუნიკაციო აპარატურის განთავსება;

3. "მეიჯარე" თანახმაა წინამდებარე მეორე პუნქტში აღნიშნული აპარატურის განსათავსებლად, "ხელშეკრულების" 1.1. პუნქტში აღნიშნული ფართის (შენობის სახურავის მე–3 დონე) გვერდით, დამატებით გამოუყოს "მოიჯარეს" ფართი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, "მხარეები" ამ შეთანხმებას (შემდგომში: "შეთანხმება") ვაფორმებთ შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. "ხელშეკრულების" 1.1. პუნქტში აღნიშნული ფართის გვერდით (შენობის სახურავის მე–3 დონე) "მეიჯარე" "მოიჯარეს" დამატებით გამოუყოფს 3 (სამი) კვადრატულ მეტრს (შემდგომში: "ფართი") სადაც "მოიჯარე" განათავსებს შემდეგ სატელეკომუნიკაციო აპარატურას:

– სამი ცალი LTE ტიპის სექტორული ანტენა (შემდგომში: "ტექნიკა 2").

1.2. "ფართზე" "ტექნიკა 2"– ის განთავსების სანაცვლოდ, "მოიჯარე" "მეიჯარეს" საიჯარო ქირის სახით, ყოველთვიურად დამატებით გადაუხდის 150 (ასორმოცდაათი) აშშ დოლარს დღგ–ს ჩათვლით. აღნიშნული თანხის (150 აშშ დოლარი) დარიცხვის ათვლა დაიწყება "მხარეთა" მიერ "ფართზე" "ტექნიკა #2"–ის განთავსების (მონტაჟის) შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

2. "სხვა პირობები"

2.1. "შეთანხმება" ძალაში შედის "ფართზე" "ტექნიკა #2"–ის განთავსების (მონტაჟის) შესახებ "მხარეთა" მიერ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან და მოქმედებს "ხელშეკრულებასთან" ერთობლიობაში, როგორც მისი ("ხელშეკრულება") განუყოფელი ნაწილი.

2.2. "ხელშეკრულების" სხვა დანარჩენი პირობები (მუხლები, პუნქტები) რჩება უცვლელი იმ სახით და მოცულობით, რა სახით და მოცულობითაც არ არის შეცვლილი "შეთანხმებით".

2.3. "შეთანხმება" შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება "მეიჯარესთან", მეორე "მოიჯარესთან", ხოლო მესამე სარეგისტრაციოდ გადაეცემა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

"მეიჯარე" (სს "ბიზნესცენტრი სოფმშენი")

მიხეილ გვიანიშვილი

"მოიჯარე" (სს "სილქნეტი")

ზვიად კიკნაძე